


1947

№ 3-4. 1947 წ.
ბავოცემის წელი XXIV.
ფასი 4 მან.

ს ი ა ნ გ ი

თბილისი.
ბავოცემის
„კომუნისტი“



ნახ. 8. თომაშვილისა

ორი თარიღი უბრწყინვალესი,
როგორც სიმღერა, როგორც ხალისი,
მოაქვს თებერვალს მზიან ალაშით,
ჩვენს დიდ არმიას—გზაგაბრწყინებულს
და საქართველოს—აღორძინებულს
ჩვენი ღიღება, ჩვენი სალამი!



ჩვენმა ჩაის მკრფელმა ქალმა მარომ ოქტომბერში ახალი საქმე წამოიწყო და თებერვალში მთელმა რაიონმა ხმა მისცა.
სტახანოველობაში მიბაძეს?
სტახანოველობაშიც მიბაძეს და დეპუტატადაც აირჩიეს.

ღირიკუდი მიმოხილვა

დინჯად ფურცლავს ცხოვრების წიგნს
პირუთვნელი მატინენი
და აღნიშნავს—ვის რა ალხენს,
ჩვენ, „იმათ“, თუ მათიანებს!
ფურცლავს ჩვენი დიდი ბრძოლის
ოქროს მელნით ნაწერ ფურცლებს—
საუკუნეთ გრძელ ქარავნებს
რომ დახვდება და გაუძლებს.
ჩვენი დიდი გამარჯვების
და ზეიმის ნათელ თარიღს
გვამცნობს რჩეულ დღეთა შორის
ისტორიის კალენდარი,
რომ შვილებს და შვილიშვილებს
არ გამოორჩეთ წერტილ-მიმიცე,
თუ რა ბნელი დავამარცხეთ,
თუ რა შუქი გვაცემციმებს,
და ამ დღეთა მომსწრე ჩვენი
დიდი ხალხი როცა მღერის,
სადაც ზღვებს და მთების იქით
წრიბინს იწყებს ვილაც მტერი,
წრიბინს იწყებს ბოღმით სავსე
მოსყიდული კალმისწვერი,
და ბანკირთა გულსაფხანად
დაძრწის სიტყვა გაიძვერის,
სადაც ღვარძლი ფესვებს იღვამს,
სადაც ჭორი ისვრის ტლინკებს,
თითქოს ვილაც დამიწებულ
ფაშიზმს სადაც აჭიკჭიკებს,
კაპიტალის სამყაროში
ვინა ბლავის, ვინა ბორგავს,
და ჩუმჩუმად დენთს ვინ აყრის
ისტორიის მბრუნავ ბორბალს?

სად „ბაღია“ კაპიტალიზმის
რაოდენადმე გადახმა,
სადაც ოცნება ბრიყუული
ზოგ მისტერის თუ სერისა
დაიმსხვრა, რომ ვერ მოესწრო
დამსხვრევას ესესერისა!
თვალს მიმოავლებ, გაცინებს
მათი ქცევა და კილონი,
დორბლმორეული სიცრუე
საგმობი, სათაკილონი!
რათა ღირს თუნდაც უინსტონ
ჩერჩილის გაწამაწია:
მან ჩვენს საღრენად რამდენი
კალმის ჯაგლაგი ასწია,
და დღეს საბჭოეთს რომ უყეფს
ბევრი გოშია პაწია,
ეს მისი კურთხევით არის,
„მირონი“ მან შეაწია.

დღეს ჯღაბნა „რკინის ფარდაზე“
მოდაა—სარფის მიმცემი,
და ხერსტის კალამგირებმაც
წამოიგრძელეს ყინწები:
—„საბჭოეთს? აბა რას ბრძანებთ,
რა სასიკეთო პირი აქვს,
როცა იქ ხალხი იცინის,
თავის ბედს კი არ სტირიან!
მშვიდობიანი შენება
და შრომა ალხენს იმათა,
ომს და სისხლისღვრას ჰგმობენ და
იხსენიებენ კვიმატად!
მოსკოვში ისე დავყავი
კვირა ერთი თუ ორია,
რომ ერთხელ არავინ მითხრა
საბჭოთა ქვეყნის კორია!


სხვისი არ ვიცი და მე კი
დიდ ნაკლს ვხედავ ამაში!“
და ჩერჩილის ხმა ჩაერთო
ამ მეჭორეთა „გამმაში“
—დიახ, გვეყოფა, გვეყოფა
„მშვიდობიობის“ თამაში!

მაგრამ თამაში გრძელდება
იანკისა და ჯონისა:
(იანკი ვახლავთ სერ ხერსტი
ჭორთა მიმცემი ტონისა!)
იანკს ჰკილია ატომი
თავსა სთვლის მქონედ ღონისა,
ჯონი კი (ანუ ჩერჩილი),
მიძებნელი მხსნელი ფონისა,
ქოსატყუილას მეთოდით
იანკს თავს მოუქონისა:
—რაცა ხარ, ახლა შენა ხარ!
მეც ხომ ვარ და ვარ—ცხადია,
რადგან ორივეს ერთგვარად
სამყაროს ყლაპვა გვწადია.
მოდი და თავი ორივემ
გამოვაცხადოდ მესიად
შენ შეჯექ სახედარზედა,
როგორც მესიას წესია.
ზურგსუკან შემოგვიდგები,
რომ გიერთგულო მე, შმაგმა,
და ატომის ბომბს დაგიჭერ,
რომ არ გაავდოს ეშმაკმა,
ატომი—დამანგრეველი!
მეც მასზე ლოცვა მინდება:
მსოფლიოს ჩაგვაცლაპინებს,
რას გვარგებს მისი შინ დება?
საბჭოთა კავშირს ვუმიზნოთ,
და თუ მას შეეშინდება,
მაშინ ევროპის შტატების
შექმნა გახდება ადვილი,
შეგვისრულდება სამყაროს
დამონავეების წადილი.

იანკი, როგორც ბანკირი,
ეს ძია ამერიკელი,
ქოსას არ ანდობს ატომსა
ფრაკის ბოლოზე მიკერილს,
მაგრამ ჭკუაში უჯდება
სურვილი ვაბატონების,
„შტატებიც“ მოსწონს იმ აზრით,
რომ ზარდოს შტატი მონების,
მაგრამ ამ წადილს ვეშაპურს
ვით აისრულებს ბიძია,
როცა საბჭოთა ქვეყანა
დგას უძლეველი—მტკიცეა?
ეს დიდი ბურჯი მშვიდობის,
სინათლისა და წინსვლისა
თვალეებში ეჩოთირება
ყველა „მოციქულს ნისლისა“,
ეჩოთირება ფაშიზმის
ყველა ნაშვირს, ცხადია,
ვისაც სძულს ხალხთა მშვიდობა,
და კვლავ სისხლისღვრა სწადიან.
მაგრამ რაც მათ საბჭოეთზე
მტრულ ფაფხურში სარფა ნახონ:
ბნელ საქმეთა სულისჩამდგმელ
ბანკირებთან იტრაბახონ.

ფარსადან

თვალს მიმოავლებ უცხოეთს
ოკეანეთა გაღალმა,



— სტახანოველმა გიორგიმ თქვა, კვარტალის გეგმას იანგ-რის ბოლოსათვის შევასრულებო და თავისი გაიყვანა.

— ჩვენმა ქარხანამ კი არჩევნებში თავისი კანდიდატად გიორგი წამოაყენა და კიდევაც გაიყვანა.

ი. პრენშურკი

ამერიკაში*)

ამერიკელი ჩაბარებენ

ამერიკელები მარტო ბროდვეიზე როდი იჩქარებდნენ, ნიუ-იორკის ყველა ქუჩასა და ავენიუზე, ამერიკის სხვა ქალაქების ქუჩებსა და ავენიუზე იჩქარებდნენ და ღამით, იჩქარებდნენ: ქალი, კაცი, თუ ბავშვები. მიზნები ცოტანი არიან აქაურ ქალაქებში: ალბათ, სიკვდილსაც იჩქარებდნენ.

სანამ ამერიკაში მოგზავდებოდნენ, ახე მეგონა ამერიკელები ყველაფერს ეგრობებდნენ გაცილებით ჩქარა აკეთებენ. აქ კი თურმე ქაღალდის დამუშავებაც ხელნაწილით, პასუხიც: „განვიხილოთ, მოვიფიქრობთ“, მოსაცდელ ოთახში ლოდინიც. აქ მძიმედ ამუშავებენ გეგმებს, მძიმედ ემზადებიან მათ განსახორციელებლად, მაგრამ, ბოლოს, როცა საქმე სერიოზულ წარმოებაზე მიდგება, სწრაფად მუშაობენ.

ისე კი ამერიკელები მუდამ ჩქარობენ, მაშინაც კი, როცა უსაქმოდ არიან, ან ისვენებენ,—ასეთია ცხოვრების სტილი.

რამდენიმე ფრანგი დაწამდებდა, თუ რატომ და საით მიიჩქარდნენ ამერიკელები; გადასწყვიტეს გაეგოთ. ერთი ფრანგი დაუღარაჯდა ჩვეულებრივ ამერიკელს დილის ცხრა საათზე, როცა იგი თავისი სახლიდან გამოვარდა. ფრანგი ჯიკან მიიყვანა. მღელვარებისაგან აქოშინებულმა ამერიკელმა გაზეთი იყიდა, არც კი გაშალა, აქეთ სივარას ეცა, იყიდა, მეტროში შევარდა, ხალხი მისწი-მოსწია, სცადა გაზეთში ჩახედვას, მაგრამ ვერ შესძლო—აშკარად ღელავდა, რომ არ დაგვიანებოდა. მეტროდან ერთ-ერთი ცოცხამგენისკენ გაქანდა; შეხედა თუ არა რომ ლიფტი მალა უნდა წასულიყო, უცებ სირბილზე გადავიდა. როგორც იყო მიადწია ოცდამეჩვიდმეტე სართულს და თავისი კანტარის კარი ფაციფუციტ გა-აღო. კარს მინა ჰქონდა და ფრანგმა მინიდან დაუწყა თვალითვალი. ამერიკელმა უცებ გაიძრო პიჯაკი, ჩაჯდა სავარძელში, სივარა გააბოლა, გაზეთი გაშალა და იმ წამსვე ჩაიძინა.

მას არავითარი საქმე არ ჰქონდა და მხოლოდ იმის გამო ჩქარობდა, რომ არ შეეძლო არ ეჩქარა.

დოლარის თავგანისცემა

ამერიკაში ძალიან ბევრი რეგისტრირებული კულტაა, მაგრამ ყველაზე ბო-პულარული რელიგიაა დოლარისადმი თავგანისცემლობა. დოლარი არა მარტო ფულია, დოლარი — ღვთაებაა.

მე მიმიბატიყენ ერთი პროგრესული საზოგადოების ხადილზე, როცა სადილი დამთავრდა, თავმჯდომარემ მაგიდაზე სის ჩაქური დაჭრა და დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა უპირატესობა აქვს მშვიდობიანობას ომთან შედარებით. უფრო სწორად, იგი მოხსენებს კითხვობაზე. ასევე მოიქცა შემდეგი ოთხი ორ-ტორიც. მათ შემდეგ მიკროფონთან მომდგარი ქალი მივიდა და სენტიმენტა-

ლური რომანსი იმდერა. იგი ფულის შეგროვების სპეციალისტმა პასტორმა შეს-ცვალა. ყველაშინდის, რომ პასტორებს ფულის შეგროვება გაცილებით უკეთ ეხერხებათ, ვიდრე ინჟინრებს, ექიმებს ან უფროსებს. ამიტომ პასტორებს დამხმარე შემოსავალი აქვთ—ყოველ საღამოს სხვადასხვა სადილებზე ისინი აკრ-ვებენ შემოწირულებებს ხან კერძო უნივერსიტეტისათვის, ხან ჩინეთის მისიონერების დახმარებლად, ხან კიდევ ბოლიციელთა დაობლებული ზავშევიისათვის. იმ საღამოს პასტორი შემოწირულებას აგროვებდა „მშვიდობიანობის დაცვის სა-ქმისათვის“. იგი ძალიან ხმადალა და მღელვარედ ლაპარაკობდა, თანაც სწორად უსტიკულაციას იშველიებდა. მის წინ მათი სია იდო, ვინც წინასწარ დათანხ-მდა ათასი, ან ხუთასი დოლარის შემოწირვას. პასტორმა განცვიფრება გამოხატა და აღტაცებით ამოძახა: „მისტერ სმიტის მამოცებს თავისი ხელგაშლილობით—ეს-ეს არის შემატყობინეს, რომ იგი ათას დოლარს სწირავს!“ გაისმა ტაში, მისტერ სმიტის წამოდგა და თავმოწონედ დაუკრა თავი. ამის შემდეგ პას-ტორი მათზე გადავიდა, ვინც ორას-ორასი მანეთი შემოსწირეს.

დოლარის კულტს გარდა, ამერიკაში ძალიან გავრცელებულია წარმატების კულტი. ერთნაირ აღტაცებას იწვევს სენატორისა და კინოვარსკვლავის, მოკ-რივისა და განგსტერის წარმატება. ევროპის ბურჟუაზიისაგან განსხვავებით, ამე-რიკელებს ახსიათებს წარსულისათვის ანგარიშის გაუწევლობა: კაცს შეუძლია გაკოტრდეს, მთლად ფსკერზე დაეშვას, მაგრამ თუ მას საქმემ კიდევ გაუმართლა, იგი ისევ ამოტივტივდება, მას შეეგებებიან როგორც გამარჯვებულს.

ამერიკელებს ახსიათებს აგრეთვე რეკორდებისადმი სიყვარული. ერთ-ერთ ეკლესიაში ამას წინათ ქაღაბების დროს ასეთი რამ წარმოსთქვამს: „განსაკუთრე-ბით დიდმა ისუ ნავის-ძე, რომელმაც ცაზე მზე გააჩერა და ამით სასწაულის რეკორდი დაამყარა...“

„ლომეზი“ ღრიალებენ,

„ოპტიმისტები“ ხარხარებენ

ამერიკელებს კლუბები უყვართ: კომერსანტისათვის რომელიმე კლუბის წევ-რობა, და არა მარტო კომერსანტისათვის, საშუალო ინტელიგენტისათვისაც აუცი-ლებელია, სხვათაგან მას პატივს არ სცემენ. ამას გარდა, კლუბი „ბიზნესის“ გაუმჯობესების საშუალებაცაა—აქ ხდება სახეიროდ ყიდვა ან გაყიდვა. კლუბები ყოველ კვირაში აწყობენ საქმიან საუზმეებს რომელიმე სატყურობაში; წელიწად-ში ერთხელ მართავენ სადილს, ამ სადილებზე კლუბის წევრები თავიანთი ცო-ლებით მოდიან. არის კლუბები „ლომების“, „ირმების“, „ოპტიმისტების“ და მრ-ვალი სხვა.

მე ვიამბობ „ლომების“ კლუბის საუზმეზე, რომელიც სამხრეთის ერთ-ერთ ქალაქში ვაიმართა. შეიკრიბნენ საშუალო ხნის საპატოო კომერსანტები: ყოველ მათგანს მკერდზე მიკრული ჰქონდა პატარა კარტონი წარწერით—სად და რით ვაჭრობს იგი. თავმჯდომარემ ჩაქური დააკაჟუნა და ომანიადა დაიყვირა: „ლო-მებს გაუმარჯოს!“ კომერსანტები მაშინვე წამოდგნენ და ოთხგზის დაიგუჟუნეს: „უ! უ! უ! უ!“ მე შემეშინდა. ამისხნეს, რომ ეს ლომების ღრიალის იმიტაცია იყო. თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ, როგორც საუზმეზე მიღებულია, ესწრება სტუმარი მომსხმენებელი; იგი ეკონომიის პროფესორია და ილაპარაკებს ვაშინგტონის შეცდომებზე. პროფესორი მრისხანე ბრალდებით გამოვიდა: ვაშინგტონი, ესე იგი თერთა სახლი, კოლუმბიატივებს მფარველებს, რითაც ზიანს აყენებს კერძო ინიციატივას. „ამანიადა აღვიღად შეიძლება ევროპულ ბარბაროსობამდე, ე. ი. სიცოცხლეშამდე დაქანება!“ „ლომებმა“ აღშფოთებით დაიღრიალეს.

არსებობენ უფრო სპეციალური დანიშნულების კლუბები, მაგალითად „სან-ფერნანდოს ხეობის თხების მოყვარულთა“. როგორც ვიცით, ბიკინზე ატამის ბომბის გამოცდისას დაიღუპა რამდენიმე თხა. დასახლებული კლუბის წევრებ-მა გადასწყვიტეს ეს ტრაგიკული ამბავი აღენიშნათ ბიარაღების დაშვებით და ბა-ნაშვილის გადახდით. რას იზამ, ყოველი ადამიანი ისე ერთობა, როგორც შეუ-ძლია; მაგრამ ხალხის კულტურულ დონეზე ჩვენ მარტო ტექნიკური მიღწევებით კი არ ვმსჯელობთ, არამედ მისი გართობის მიხედვითაც.

ამერიკაში ძალიან ბევრს სვამენ. როცა ახალგაზრდები იკრიბებიან, ერთ ან ორ საათში უმრავლესობა მთვრალია, ყველაზე ადრე ქალიშვილები.

ნახევარი და ზოგჯერ სამი მეოთხედიც გაზეთისა რეკლამას უჭირავს. რეკ-ლამას უკეთებენ ყველაფერს: კურორტებს, წიგნებს, აქციებს, ბეისბურს და უნი-ტასებს. ღამით ამერიკის გზები გაჩირაღდებულია რეკლამებით. წინასაარჩევნო პროპაგანდა რეკლამისაგან ცოტათი განსხვავდება: პროპაგანდაზე და პრინციპებზე იშვიათად ლაპარაკობენ, სამაგეროდ ამომრჩეველს ატყობინებენ, რომ კანდიდატი ოთხი ანგელოსივით ბავშვის მამაა, რომ იგი თვითონ დადგა ფეხზე ცხოვრებაში, რომ მას ომის შემდეგ გამოშვებული მაცივარი აქვს სახლში, რომ იგი ეწევა „ჩისტერ-ფილდის“ სიგარეტებს, რომ იგი კეთილია აღდგომის ბატკანავით და, ამავე დროს, ანგარიშისანი.

რეკლამას თავისი მეფეები ჰყავს. დუგლას ლაიგი ქვეყანას ატყობინებს, რომ მისი სანთლებიანი აბრა ორმოცდამეორე ქუჩაზე შეხედება მსოფლიოში ყველაზე დიდი ასობისაგან. თვითუფლი ასე 50 ფუტის სიგრძისაა, რაც ხუთი სართულის სიმაღლეს უდრის, ხალხი მთელ რეკლამას ორი ათასი კვადრატული ფუტის სივრცე უჭირავს და ორმოც ტონას იწონის.

*) გზებდავით შემოკლებით.



ფრანკო: ერთი სალდათი უემზია და ისიც არაფერს არა სჭრის...

ნახ. დონისა

...ლიბორისტმა უოკდენმა თემთა პალატაში ბელენჯერს ჰკითხა: რატომ ამარაგებენ წინანდებურად საგადასახლებო კორპუსის ბანაკებში მყოფ პოლონელებს სრული საარმიო უღელფით, რომელიც სჭარბობს ინგლისის სამხედრო მოსახლეობის ჩვეულებრივ რაციონს? გაზეთიდან



— ეჰ, ნეტავი ჩვენც პოლონელები ვიყოთ, მაშინ ხომ გაცილებით უკეთ ვიცხოვრებდით ინგლისში.

ყველა თავისას ჩიოდა

ნახ. მ. ოთაროვისა



უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო, რომ იტყვიან ხოლმე, ჩემი საქმე ასე გახლდათ. ის ოჯახაშენებელი ჩვენი უფროსი და მისი მოადგილე მომადგნენ კარზე, როცა ჩემ ცოლს მარიკას ჩემს მიერ ოჯახგარეთ დანახარჯი თანხების ბალანსი გამოჰყავდა და კახურში გაფლანგული თანხის ციფრებს უმოწყალოდ ჰყრიდა ჩოთქში. ჩემ ნაცნობ ბუხპალტერთა შორის მხოლოდ ჩემი ცოლი მეგულება, რომელიც, თუ რაიმე ხალტურას მიკეთებს, ისევე ჩემს სასარგებლოდ ხარჯავს, და უბატონოდ ხმას როგორ გავცემდი!

მარიკასგან დაშინებული, ოჯახში მათს დაპატივებას როგორ გავებედავდი! მოვიმიზეზე—ცოლი შეუძლოდ მყავს, ხმაურს ვერ იტანს-მეთქი და სტუმრები შინიდან გარეთ გავიპატიე.

როგორც წელანაც მოგახსენეთ, ამ დღეს ჩემმა ცოლმა თანხების სრული მობილაზაცია მოახდინა და ეხოს რომ გავცილდი, ჯიბეში მხოლოდ სამმანეთიანი აღმომჩინდა.

ერთი სასაუბრე მეგულებოდა, სადაც ნისიად მენდობიან, და ჩემი ამშენებლებიც მის გზას გავუყენე. გზაში სტუმრებმა წინადადება მომცეს მეყიდა ლიმონი, რადგან სასაუბრეში საუცხოო მწვადებს სწვავენ და მისი ჭამა ულიმონოდ ვერაფერი სასიამოვნო იქნებოდა!

ჩემს ერთადერთ სამმანეთიანს ანდერძი ავუგე და ჩიტის კვერცხისოდენა ლიმონი ჯიბეში ჩავაგორე.

სასაუბრეში, როგორც წესია, ჩვეულებრივ შემხედნენ. სკამები ოფიციალტის მაგიერ მე შევთავაზე ჩემს უფროსებს და მასპინძლების სიტყვები—„თუ გეჩქარებათ, სხვაგან მიბრძანდით, ჩვენ ისეც ბევრნი გველოდებიანო“—საიღუმლოდ შევინახე.

— ფილიპე ჩემო, — მომმართა უფროსის მოადგილემ დაჯდომის-თანავე, — აბა, ერთი შენი ლიმონები ამოალაგე.

მე დარცხვენით ამოვიღე ჯიბიდან ლიმონის მსგავსი რაღაცა არახილი და მაგიდაზე მსუბუქად დავდე.

ოფიციალტმა მწვადი მოარბენინა და მოგვმართა: — უშველეთ, ვიდრე გაცივდება. მალე მეორე წყება შეიწვის და მოგართმევთ!

ლიმონს ბოლო წავაჭერი და რაც ძალი და ღონე მქონდა, ხელი მოუჭირე. თქვენც არ მომიკვდეთ, ორი წვეთი ცრემლივით წამოვიდა ლიმონიდან და თითქოს ჯიბრიაო, ისიც ზედვე შეჩერდა.

— მაჩვენე აქ, — მომმართა გულმოსულმა უფროსმა და ორივე ხელი მაგრად მოუჭირა. დიდი სასწაული არც მას მოუხდენია, ის ორი წვეთი, როგორც იქნა ჩამოაგდებინა.

აქ ისევ ოფიციალტმა გვიხსნა: — ყველაფერს ცოდნა და მოხერხება უნდა, ჩემო კარგებო, ამდენხანს ვიცხოვრიათ და ეს ვერ ისწავლეთ?

სიტყვა, ლიმონს ხელი წაავლო, ხელებშუა გააგორ-გამოაგორა, ძალა დაატანა და თხუთმეტოდე წვეთი მწვადს დააწურა.

ეს ამბავი ისე მოეწონა ჩემს უფროსს, რომ ოფიციალტის სადღევრძელოდ ორი ჩაის ჭიქა ზედიზედ გადაგვაკვრევინა.

ახალმოტანილ მწვადებზე კიდევ ლიმონი დავგვჭირა. მე ოფიციალტის ხერხს მივმართე, მაგრამ ლიმონის მაგიერ შუბლიდან ოფლის წვეთები წამომივიდა.

შორიახლოს მდგომმა ბულასავით კაცმა შემამჩნია, ახლოს მოვიდა და მომმართა: — თქვენ ამის გამოცდილება არა გაქვთ, კი არ გეწყინოთ! — ლიმონი გამომართვა და ცალი ხელით ორჯერ მეტი წვენი გამოადინა, ვიდრე ოფიციალტმა.

ჩვენ სიხარულისაგან თვალები გავვიბრწყინდა (განსაკუთრებით მე) და ამ ბულა-მოქალაქის სადღევრძელო შევსვით. ამის შემდეგ კუთხეში მჯდომი მომცრო ტანის კაცი დინჯად მოვიდა ჩვენთან და სიტყვა: — მეგობრებო, ხომ გაგიგონიათ, ქვეყნად მჯობნის მჯობი არ დაილევიაო, აქ მომცეთ ეგ ლიმონი, — თქვა, ხელი მოუჭირა და წვენი ჩხრიალით წამოვიდა-ლიმონიდან.

ჩვენ მისი სადღევრძელოც დავლიეთ და შემდეგ შევგკითხეთ: — საინტერესო იქნებოდა თქვენი გაცნობა, ვინ ბრძანდებით? — მე ამ სასაუბრის გამგე ვარ, — თქვა ბულა-კაცმა. — მე სასაუბრეების ინსპექტორი ვარ, — განაცხადა მომცრო ტანისამ.

კარგად გადაკრული წამოვიდი. გზაში ერთი აზრი მიტრიალებდა: ეს „ოსტატები“ რა კარგად ადენენ წვენს და განა მარტო ლიმონს?!
გ. ივანიშვილი

სადგურის უფროსი

ბოქტმა ილაშქროსაშვილმა დასწერა პიესა „სადგურის უფროსი“, პიესას სტაჟის რუსთაველის თეატრი.

მეგობრული შარქი დონისა



თუმცა ჩემამდე თეატრებს დრამატურგები არ აკლდა, დავჯექი, დავსწერე პიესა, ქვეყანა ალაპარაკდა. მკითხველსაც მოსწონს, დამდგმელსაც ზედ თავი გადაუფია, ჩემი აგურიც ემატოს საბჭოთა დრამატურგიას!

თხოვნა შეუსრულა

მეურნეობის დირექტორი გუგულაძე საქმიანი გამომეტყველებით იჯდა თავის კაბინეტში და ბიჯითად ელაპარაკებოდა თანამოსამსახურეებს:

— იმიტომ გამოვიძახეთ, ამხანაგებო, რომ ერთი არასასიამოვნო ამბავი გაცნობოთ: ჩვენი მეურნეობის დასათვალისწინებლად მოდის სპეციალისტი... ქალაქის საბჭოს დეპუტატი ცნობილად. კარგად უნდა შეგხედეთ, ბანკეტი უნდა მოეწყოს, — მისალმებას და ჩვენი მიღწევების შესახებ სიტყვას შენ წარმოთქვამ, ოთარ, — რაც შეგხება ჩვენი ფერმების შესახებ ცნობების მიწოდებას, ეს საქმეც უნდა გავითვალისწინოთ. ავიღოთ მეურნეობის ფერმა. ამხანაგო მარინე, — მიმართა მან ფერმის გამგე ქალს, — რაკი სპეციალისტი მოდის, ცხადია, დინტერესდება ასეთი საქმეებითაც, მე რატომ უნდა მკითხონ, მე ხომ დირექტორი ვარ, მაგრამ თქვენ შეიძლება უსიამოვნება შეგხვდეთ. შენ, ამხანაგო ეთერი, მოზარდი საქონლის შესახებ შეგეკითხება. რაც შეგხება ცხენებს, ამხანაგო თენგიზ, რაღაც გამხდრებს ჰგვანან ჩვენი ცხენები, უხერხული არ გამოვიდეს. — გასაპრიალელებს წავუსვამ, ამხანაგო დირექტორო, — გულდაჯერებით მიუგო თენგიზმა, — ისე გაპრიალდებიან, როგორც ცირკის ცხენები. ეს ხერხი, ეტყობა მოეწონა გუგულაძეს.

— ყველაზე რთულ საქმეს — ბანკეტის ხელმძღვანელობას, მე ვკისრულობ, — დასძინა დირექტორმა და თათბირიც ამით დამთავრდა.

მეორე დღით დირექტორის კაბინეტში გრძელი მაგიდა გაიშალა. გუგულაძე ციბრუტივით ტრიალებდა. სუფრის შელაშქვებს ხელმძღვანელობდა. მან ეზოში გადაინგინა და გადასძახა ახლადშემოსულ ოდნავ შეჭალარაგებულ ქალს, რომელიც სადა, რუხ კაბაში იყო გამოწყობილი და მხრებზე შალი ჰქონდა მოსხმული.

— ბიოლა, რას ტრიალებ მანდ? ამოდი მაღლა.

როცა ქალი კაბინეტში შევიდა, გუგულაძეს არც კი შეუხედნია, ისე მიმართა:

— მოდი, ტყუილა დგომას — დაგვეხმარე, ხომ იცი, დღეს რა მასპინძლობა გვემართება.

ქალს გაეღიმა.

— აბა, პა, აქ გასაღმებელი არაფერი გვაქვს, — მომაწოდე ის ბლუდი სატყვივით, ასე, წის შეწვარი დედალიც. დიან, ასე. ახლა აილე ტილო და ეს ჭიქები დარეცხე. ასე, ყოჩად, ის საინებიც გააწყვე. ასე...

ქალი იმავე ღიმილით უსრულებდა განკარგულებებს.

მაგიდა გაეწყო. ყველანი მოგროვდნენ. მოუთმენლად აღუყვებულმა გუგულაძემ მიმართა თანამშრომლებს:

— ასე, ყოველ წუთს მოსალოდნელია გვეწვიოს რევიზიაზე ჩამოსული სპეციალისტი. აბა, როგორც დაგარიგეთ, არ დაივიწყ...

— მე უკვე აქა ვარ, — სთქვა ქალმა, რომელიც, დირექტორის განკარგულებების შესრულების შემდეგ, კუთხეში იდგა იმავე ღიმილით, რაც მის სახეზე კაბინეტში შესვლისას გაჩნდა.

— როგორ თუ აქა ხარ? — გაოცდა გუგულაძე.

— მე გახლავართ ჩამოსული სპეციალისტი ცნობილად, — მიუგო სტუმარმა ქალმა და დირექტორს ქაღალდები გაუწოდა.

აქ თქვენ შეგიძლიათ პირდაპირ თეატრალური ემოციით წარმოიდგინოთ ისტებარგატული კაცის მდგომარეობა, რომელშიც მოექცნენ როგორც დირექტორი, ისე მისი თანამშრომელი.

— მერე კი... კი...

— ჭიქები რომ გავწმინდე? — იმავე ღიმილით მიუგო ქალმა, — რა ვუყოთ? — ვიფიქრე, რაკი ასეთი გაჭირვება ჰქონდა, არ დავამადლი-მეთქი.

— კი, მაგრამ სა... საინ...

— საინების მოწოდებაც არ გამძნელებია, რა ვუყოთ? — მაგრამ, რაც მთავარია, მე აქ ბანკეტისთვის არ ჩამოვსულვარ, ამხანაგო დირექტორო, საქმეზე გვახელით. ზოგი რამ უკვე ვიცი, ახლა კი წამომყვებით და მეურნეობა მაჩვენეთ.

ამ სიტყვებზე ქალმა კარებისაკენ გასწია. ციფწყალდასხმული გუგულაძე გაჰყვა. მას აედევნენ თანამშრომლებიც. სტუმარი მეურნეობის ფერმასთან შეჩერდა.

— პლიმეტროკები, კახურები, ესპანური ჯიშისაც ყოფილან.

გუგულაძემ ვერ გაიგო და განუმარტა:

— ეს ქათმები არიან...

— ა-ა, მართლა? — ღიმილით მიუგო რუხკაბიანმა. — რომელი ჯიშის უფრო სჭარბობს?

— დალახროს ეშმაკმა, — რა შარში ჩვევარდი? — გაიფიქრა გუგულაძემ, რომელმაც ნამდვილად არ იცოდა თავისი ფერმის ქათმების ჯიშისა და რაოდენობის ამბები.

— მე მხოლოდ... ასე ვთქვათ, ვხელმძღვანელობ. რაც შეეხება ჯიშს, ეს ალბათ მარინემ იცის...

— ხელმძღვანელობთ, არა? — სარკაზმით ჰკიფნა რუხკაბიანმა, — თუ კაბინეტში ქათმები მხოლოდ მოხარული შემოდიან, ცხადია, ჯიშის შესახებ ცოტა გეცოდინებათ, — ქალი გაბრუნდა და ახლა სახბორესთან შეჩერდა.

— სახბორეში ნესტისაგან სოკოები ამოსულა. გამომგვარეთ ის ხვესურულა. დირექტორი კვლავ დაინა. რამდენიმე ათეულ ხბოში რომელი იყო ხვესურულა? „ეს სულ ეთერის ბრალია. ერთხელ არ მოიყვანა კაბინეტთან და არ მითხრა: მაგანი და მაგანი ხბო მაგანი და მაგანი ჯიშისაა — დღესვე მოვსნი“, — ფიქრობდა ის.

— გამომგვარეთ, — გაუმეორა ქალმა. — კუდით გამოთრევა როგორ შეიძლება?

— მაშ შოლტით გამოვდენი, თორემ შეიძლება ამომიტის, — დაბნევილი მიუგო გუგულაძემ, რომელიც ხვესურულის მაგიერ ჰოლანდური ჯიშის დეკეულს წაეტანა. ქალმა გაიცინა, ბოსელში თვითონ შევიდა, რამდენიმე ხბოს ალერსით ხელი გადაუსვა და გამობრუნდა სიტყვებით:

— სისუფთავე, პროფილაქტიკა არა სჩანს. თქვენი ცხენებიც ცუდად გამოიყურებიან, ძროხების წველის საქმე გაუმჯობესებას მოითხოვს, კვების წესებიც აგრეთვე. ერთი სიტყვით, გასაგებია...

რუხკაბიანი ქალი კვლავ კაბინეტში დაბრუნდა. დირექტორი უკან გაჰყვა და შეეცადა სპეციალისტი სტუმრის შთაბეჭდილების შერბილებას.

— შეიძლება ზოგი შეცდომა შეამჩნიეთ, მაგრამ მოგესხენებათ, შეცდომა ჩვენს სამმართველოშიც შესაძლოა მოხდეს.

— გეთანხმებით, — ციფ-დ მოუჭრა სტუმარმა, — სამმართველოს შეცდომა ცხადია... თქვენი მეურნეობის მიაართ...

ამ სიტყვებმა რაოდენადმე დაამშვიდა გაჭილებული გუგულაძე.

— ზოდა, გთხოვთ, აუხსნათ დაბრუნებისას, რომ, ასე ვთქვათ, ხე-ხე-ხე... — ნაძალადევი ღიმილით უთხრა დირექტორმა და სტუმარს ბევრი ვხედავ ბანკეტზე დარჩენილიყო, მაგრამ ვერ დაითანხმა.

რუხკაბიანმა შეუსრულა თხოვნა გუგულაძეს: მან დაბრუნებისთანავე დაბეჯითებით აუხსნა ვისაც ჯერარს სამმართველოს შეცდომა, რაც გუგულაძის დირექტორად დანიშნაში მდგომარეობა და.

აღნიშნულ მეურნეობაში დირექტორის ადგილი ჯერჯერობით თავისუფალია. თავისუფალი გახლავთ გუგულაძეც.

მეგობრული შარჟი ღონისა

კომპოზიტორ ა. კერესელიძის ოპერა „ბაში-აჩუკი“ წარმატებით სრულდება ოპერისა და ბალეტის თეატრში.




ხალხმა ოპერა შემოქმედ, გულთბილი ტაში მაჩუქა, მაგრამ ლიბრეტო არ მოსწონთ, ვერ იცნეს „ბაში-აჩუკად“! მუსიკაც კარგი დავწერე, აკაკიც მიყვარს ძალიან, ცოდვა პოეტებს მოჰკითხონ, ჩვენთვის რომ არა სცალანთ!

ახიკაბული უოგოგრაუები

ბენიამინს ბედმა გაუღიმა. ტრესტის დირექტორის უშუალო დირექტივით ლატვიაში მივლინება გამოიწყო და რამდენიმე დღის შემდეგ ლატვიის უცხო სტუმარი ქ. რიგის სასტუმროს მიაღწა. მოუთმენლად ელოდა გათენებას, რომ ქალაქი დაეთვალიერებინა.

დილას ახალი ტანისამოსი ჩაიცვა და ჭლალი კარაკულის ფაფახი წარბებამდე წაიოხურა. კიბის თავზე გადმომდგარმა ქალაქს გადახედა.

— ჰე! მოდი, დღეს ქალაქს დავათვალიერებ და ხვალ შევუდგები დავალებულ საქმის ძებნას.— გადასწყვეტა ბენიამინმა და პირველ საფეხურზე შესდგა. უცებ, თითქოს მიწიდან ამოდგარო, მის წინ ვიღაც შავკოსტუმიანი კაცი გაჩნდა, გულზე პატარა ფოტოაპარატით. უცნობმა სალამი მისცა და ლატვიურ აქცენტით ბენიამინს შეეკითხა რუსულად:



— შეიძლება გადავილოთ სურათი? გთხოვთ! ბენიამინი შეიშმუნა. სახეზე გაკვირვება აღებუქდა. მაგრამ უცებ თანხმობის ნაშანი მისცა უცნობს. უცნობმა სურათი გადაუღო, ბენიამინის სასტუმროს ოთახის ნომერი ჩაიწერა, დაემშვიდობა და წავიდა.

— ვინ ეშმაკია, — გაიფიქრა ბენიამინმა, — რად უნდა ნეტავი ჩემი სურათი. ალბათ, ცნობილი მსახიობი ან მწერალი ვეგონე. არა, შეიძლება ჩემი შეხედულება მოეწონა. პაპიროსი ამოიღო და მედიდურად ტროტუარს გაჰყვა. აგერ, ხედავს ბენიამინი, რომ თითქმის ისეთივე კაცი, ისეთივე ფოტოაპარატით მისკენ მოექანება. ისიც ქულის მოხდით მიესალმა ბენიამინს და სურათის გადაღება სთხოვა. ბენიამინი დათანხმდა. ამ უცნობმაც გადაუღო და მისამართი ჩაიწერა.

— არა, ნამდვილად მოვეწონე ამ ხალხს, არ უნდა ლაპარაკი. ფაფახია, ბატონო, ყველაფერი, ფაფახი, — ფიქრობდა ბენიამინი და სახეზე სიამაყე ემატებოდა.

ბალის კიდიდან კიდევ გამოძვრა ფოტოაპარატის კაცი.

— შეიძლება გადავილოთ? — მიმართა ამანაც ბენიამინს.

— შეიძლება, შეიძლება, ერთი კი არა, თუ გნებავთ რამდენიმე, სხვადასხვანაირი იყოს, — სიხარულით დაეთანხმა ბენიამინი.


თითქმის საღამომდე იხეტიალა ქალაქის ქუჩებში და თორმეტმა სხვადასხვა უცნობმა თორმეტი სხვადასხვა აპარატით თორმეტჯერ გადაუღო სურათი. ფრიალ კმაყოფილი წამოწვა ლოგინზე ბენიამინი თავის ნომერში. ერთბაშად კარებზე კაკუნის გაისმა. ბენიამინი წამოდგა, კარი გამოაღო და მის წინ შავკოსტუმიანი და გულზე ფოტოაპარატის კაცი იდგა, რომელმაც პირველი სურათი გადაუღო.

— მობრძანდით! — და ბენიამინმა ოთახში მიიწვია იგი.

— აი თქვენი სურათიც. მშვენივრად გამოვიდა.

და უცნობმა მაგიდაზე 3 ცალი ფოტოსურათი დასდო.

— გმადლობთ, გმადლობთ! სახსოვრად წავიღებ — და ბენიამინმა სურათებს თვალიერება დაუწყა.



— რასაკვირველია! სულ რაღაც ხუთი თუმანი ღირს მაგის გადაღება და სახსოვარი კი — ათასი! — განუმარტა უცნობმა.

ბენიამინს გულში რაღაცამ უჩხვლიტა. ჯიბეს იკრა ხელი, ხუთთუმნიანი გადასცა უცნობს, რომელმაც მადლობა უთხრა და უშალ გავიდა ოთახიდან.

— ფუ! ეს რა სინდისია, — ფიქრობდა ბენიამინი. — სახსოვრადო, და ფული კი გამომართვა.

ფიქრში იყო, რომ კიდევ გაისმა კაკუნი. ეხლა სათვალისანი და წვერიანი შემოვიდა.

— მოგართვით თქვენი სურათები, ძვირფასო! ხუთნაირ პოზაში გადავიღეთ, სულ 15 ცალია, ინებეთ! სულ 250 მანეთი თქვენგან! — და უცნობმა სათვალე გაისწორა. სახეაღწეილმა ბენიამინმა 25 თუმანი გადაიხადა. მიხვდა, რაშიაც იყო საქმე. ჯერ კიდევ ქუჩაში მომუშავე ათი ფოტოგრაფი იყო მოსასვლელი. უცებ გარედ გამოვარდა თავის ჩემოდნით ხელში და სასტუმროს მორიგესთან ჩაირბინა.

ღამის 11 საათამდე არ შეწყვეტილა ბენიამინის კარებზე ბრაზუნის, მაგრამ არავინ უპასუხებდა, ის უკვე სხვა სასტუმროში გადასულიყო.

საქართველოში რა მოძვრად!



საქართველოში რა მოძვრად, რა მოძვრად საქართველოში, ჩაუქრობელ შვით მოქართველ ბაღნარებსა და მღვლელოში, რა მოძვრად საქართველოში, — მუღმივი ვახაფხულია, გულა ხალისით იმღერის, სიცოცხლე — სიხარულია. იზრდება, ჰყვავის, მიდრდება ჩემი სამშობლო კებული, ბრძენი ბელადის მარჯვენით გაფურჩქნილ-აყაივებული, ახალ ხუთწელში ყოველი დღე წარმიტებით თენდება, სამშობლოს დედაბაბაქი იზრდება, ბრწყინავს, შენდება, მტკიცარს გადახედვად, მეორე სანაპიროსკ მშვენდება. — საქართველოში რა მოძვრად! — მესმის სამგორის ველიდან: ხრიოქს ბაღნარად გარდაცემნით დამყრელთა გამარჯვ ხელითა,


იორი შევკრავს კამარს წარსულის ნახანარაზღვდა, მალე ღიღი ზღვა გვექნება დედა ქალაქის კარზედა. გადანაღებმა მიღამო, შეჭურვარსველათა ჰქესებით, თაყვს ვანდევნის სინაღლ-ხრამ-წყალში დანაცვებით, დაველოდვინ მამაპაპინიც, განვლევს მათი ფესვები. ავტო რუსთავი... ფოლადის მძლე, გიგანტური ქარბანა; კვლე მოუნახავთ ურთერიო ომში გამოცდილ ამანავთ, ზღაბრად თუ ვეგვიონებდით, რაც იქ კეთდება ამხანად.

მალე ქართული მანქანა გამარჯვ ვეცუთა ამაღით, — მალღუეს ველზე გამოვა, გაბიოტრულეს ფრთაბალი. რა მოძვრად საქართველოში, ვარ გულითა გაუტრებელი,

მოღის დოვლათი, იესება ქვევრი, კალო და ბეღელი, ოკანედ დვას ყანა და ვაზი — რქადასარეხელი, რა სიმდიდრე გვექვს წიაღში, რა მრავალფერი მადანი, რა დღღუეს მარიტს, ქვანახორს, წულგუტებს გააქეთ ლაწანი, მოსურ, დატვირთვ, ვაზიღ, ზღამად გვექვს გამოსატანი. იქნებ ჩაი გსურთ მიორთავთ, კოლხეთში ზღვად მინავარი, ზღამად ჩაჭყარეთ ჭიქაში ავარის ტკბილი შაქარი. იქნებ ქველგმა მოვინახათ, უცვრ დავგვრდით ქარები? თვექთივის ღიაა წყალტუმის საბანანის ქარები, სავარჯნი თმევალი, იქიდან უჯოსოდ მოეტქარებით. იქნებ კუნწაწლავს უჩივით, წულღმა შევკავართოთ ძალიან, —

ნუ დარდობთ, სანამ ჩუნებრით მოსტქედს ბორჯომის წაღია. იქნებ ტყვილი დავგვრდით ელენისა თუ ჭაქისა, რას დარდობთ? ავტო სირიში, ან წყაროები რაქისა. კტორტზე წასლა მოვინდათ, გსურთ ავარაქი მითინი? ამა ბამბოო, წაღვრი, შოვი თუ მაქრიანი... ნიავი გნებათ ჩურჩულა, ნაზი და ალტრსიანი? მოინახულეთ სურაბი, — განკურნოს ციხიბანი. ან იქნებ ზღვაზე წასლა გსურთ, იცითთ ამანანები? გავრა-ქობულეს ესტუმრეთ გავიხდეთ სათაყვანები. საქართველოში რა მოძვრად, ვარდი მახია ყელამდი, ჰყვავდეს ჩვენი სამშობლო, ცოცხლობდეს ღიღი ბელადი!





— შენ საიდან მოხვდი მაგ მხრებზე?
 — განა არ იცი, რომ ჩემი პატრონის ქმარი ორი თვის წინათ
 საწყობის გამგედ დანიშნეს? შენ საიდანღა?
 — ორი კვირაა, რაც ჩემი პატრონის ქმარი ახალი სასაუზ-
 მეს გამგეა.

მკვივნეული საკითხი

სტუდიაში ახალი რეჟისორი დანიშნეს. მალე ხმაც გაგრცელდა—მას დადგმას აძლევენო. ატყდა ჩოჩქოლი მსახიობებში. ყველამ თავისებურ ხერხს მიმართა, რომ რეჟისორის ყურადღება დაემსახურებინა. ზოგი კონტად მოირთო, ზოგმა ათი წლის ნათამაშევი სურათიდან კადრები მოამზადა, ზოგი რეჟისორის დედის ვინაობის გაგებას შეუდგა.

მეორე დღეს სტუდიის ეზოში მსახიობები მზეზე თბებოდნენ და ჰჭობდნენ—თუ ვის მიიწვევდა რეჟისორი მთავარ როლებში.

— მე მთავარი როლი აღარ მაინტერესებს.—სთქვა კირილემ.—სანამ ახალგაზრდა ვიყავი და თამაში შემიძლო, არ მომიწია როლმა. ახლა თმაში ჭალარა გამერია... რაიმე როლი მომცეს, რომ სრულ ხელფასს დაეუბრუნდე და მეტი არაფერი მინდა.

— მთავარ როლზე მე ამიყვანს...

წამოიძახა ახალგაზრდა, ცქრიალა ქალიშვილმა.

— მერე რა იცის მან შენი არსებობა? ფილმებში შენ არ თამაშობ და თეატრში!

— რა ჩემი ბრალია? ერთხელ ხომ ვითამაშე.

— აბა, ახლა არქივში დაუწყებებს ძებნას აღამისხნის სურათს.

— ამიტომ მოვიტანე კადრები,—ეშმაკურად ჩაიციხა შავთმიანმა ქალიშვილმა.—ამას ნახავს და არ მიმიწვევს?

— ტყუილად იწუხებთ თავს,—ბოხი ხმით სთქვა განზე მდგომმა მსახიობმა. იგი უკვე მოხუცდა როლების ცდაში და გასკეპტიკოსდა.—ტყუილად იწუხებთ თავს,—თუ დადგმა მისცეს—მთავარ როლს მისი ცოლი ითამაშებს, შეყვარებულს—მისი ძმა, მოხუც გმირს კი—სიმამრი.

ყველას ენა დაება. პოეტების ენით რომ ვთქვათ, უცებ დასჭკნა ოცნების ვარდი, თვალეგში ისევ მიიბუჟუტა შემოქმედების ნაკვეთხალი.

და სწორედ ამ დროს ახალი რეჟისორი შემოვიდა დარბაზში. ყველა მოწიწებით მიესალმა. ერთმა თავზე ხელაღებულმა გაბედა და ჰკითხა:

— უკაცრავად, თქვენი ცოლი მსახიობია? რეჟისორს გაეცინა.

— არა, ამხანაგო, მე ცოლი არა მყავს.

— რას ბრძანებთ?—ჩაერია მეორე მსახიობი.—თქვენი ძმა?

— ძმა ინჟინერია, ხრამპესში მუშაობს.

— სიდედრზე, მასადადამე, ლაპარაკიც არ შეიძლება!

— ცოლი არ მყავს და სიდედრი საიდან მეყოლება...

სიტყვაც ვერ დაასრულა რეჟისორმა, რომ გაისმა მძლავრი „ვაშა“, ეცნენ რეჟისორს და ჰაერში აიტაცეს.

მეორე სართულიდან სტუდიის დირექტორი გაკვირვებული უტყუარდა ამ სურათს.

— რა მოხდა, რა მოეწონათ ამ რეჟისორის?

— გაიგეს, რომ არც ერთი მისი ნათესავი მსახიობი არ ყოფილა.

კახეთში მგზავრობის ანგარიში

მე კმაყოფილი ვარ ჩემი სამსახურისა: ხშირად მიხდება მგზავრობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. თან ისე ვახერხებ, რომ ზაფხულში, როცა თბილისში ბუდი და პაპანაჭებია, უფრო ბორჯომის ხეობაში მივადგინებინებ თავს, სექტემბერში კი, როცა განსაკუთრებით წარმატება და მიმზიდველი ჩვენი დალოცვილი შავი ზღვის სანაპირო, ქობულეთსა და გაგრას ვეტანები... რთვლობას ხელო-მწერეთის მოუცილებელი სტუმარი ვარ. ღმერთმა დალოცოს კახეთის გულუხვი და ბარაქიანი რთველი, მაგრამ მეგობრებისაგან ვარ დაშინებული: კახეთის მატარებელი მგზავრობა ჯოჯოხეთს მოგანატრებს და მეც ისე ავაწყვე ჩემი სამსახურის საქმე, რომ ეს ათი წელიწადია კახეთისაკენ არ მიქნია პირი...

და აი, რამდენიმე დღის წინათ, სრულიად მოულოდნელად გამომიძახა ჩემმა უფროსმა, მითხრა: ბედი გეწია, კვირისი, კახეთში მიდინარე! ჰაი დედასა, რა დროს გაატარებ!

გადაწყდა ჩემი კახეთში წასვლის ამბავი, მიმართვა მომცეს რკინიგზის ქალაქის საბილეთო სადგურის ფილიალის უფროსისადმი. ეს ფილიალი მოთავსებულია საბჭოს ქუჩაზე (აქ მხოლოდ კახეთის მიმართულებით ჰყიდები ბილეთებს).

როგორც იქნა, მივალწვი ფილიალის უფროსამდის და ჩემი გაშანშალებული მიმართვა ამაყად გადავუშალე. მან ზედაც არ შემომხედა, დარაჯს გადაუბღვირა, რაღაც ქალაღებში გადაქეპა და მოჭრილად მითხრა: რბილი ვაგონის ბილეთებს ჩვენს პ/მგ. მუშაკებს ძლივს ვუხერხებთ. დღეს მაინც დიდი ნაპოვია! მოგართმევთ მაგარ პლაკარტს, ისიც როგორც პ/მგ. მუშაკს, და იმგზავრებთ გუგულივით—სუფთა ვაგონი, სუფთა ხეწრები, სითბო და სინათლე. ასე! და ჩემს ქალაღზე რაღაც მიანიშნა. საღაროში!

სადგურზე ნახევარი საათით ადრე გავედი. უკვე დამის თერთმეტი საათია, კახეთის მატარებელი კი ჯერაც არ ჩამოუყვებიათ. მგზავრებიც არც თუ ისე ბლომად არის, როგორც წარმომედგინა, და თავს არხეინად ვგრძნობ. მაგრამ თანდათან ისევე შემიპყრო ამ ოხერმა ექვმა: სადაცაა განრიგის მიხედვითაც უნდა გავიდეს მატარებელი, და აი ალაპარაკდა სადგურის რადიო:

... „კახეთისკი პოვებ ტბილისი-ტელავი ჩერებ დვე მინუტი ატა-იდიოტ სა ვტაროვო პუტი...“

ახლა კი მეცა ვლდა. გაშმაგებული მივგარდი სადგურის რომელიღაც თანამშრომელს—სად არის კახეთის მატარებელი, სად არის ეს „გტაროი პუტი“?

— ვაგზლიდან გაბრძანდით უკანვე. გაჭყვევით საბჭოს ქუჩას, მოუხვიეთ მარცხნივ, ამოხვალთ დიდ კიბზე, შემდეგ აიღეთ აღმოსავლეთის მიმართულება და იქ დაგზავდებთ კახეთის მატარებელი... დინჯად, სულ მარცვალ-მარცვალ მიპასუხა სადგურის თანამშრომელმა.

ახლა კი სრულიად დაგვარებ მოთმინება. ერთი წუთიღა დამრჩა.. გავიხედე ნავთულისაკენ და სულ მცირე, ბროწეულის ყვავილივით წითელ სინათლეს მოვკარი თვალი! აი, იქ, იქ დგას კახეთის მატარებელი.

და გავქანდი იმ სინათლისაკენ მალემსრბოლივით. თქვენს თავს ვფიცავ, ფრიად ვიმარჯვე—მატარებლის დაძვრა და ჩემი ვაგონზე ჩამოკიდება ერთი იყო...

* *

არ მოგიყვებით, თუ რა ვაივალანით მივალწვი ჩემს ვაგონამდის. გასაოცარი კი იყო: ვაგონში სულ ათიოდე მგზავრი დამხვდა. ვაგონის გამყოლმა თავდაპირველად ხალისით მიმიღო, ხოლო როცა ბილეთი ვუჩვენე და ჩემი ადგილი მოვთხოვე—არ ესიამოვნა... დაწვექი, ვაგონის გამყოლიც ჩემს პირდაპირ ჩამოჯდა, ყოველ სადგურზე ხმამაღლა გაიძახოდა: „პლაკარტ ვაგონი, არის ადგილი!“ და როცა არავინ ეწვეოდა, კარს ისე მიაჯახუნებდა, რომ მთელი ვა-

გონი ზანზარებდა... „ოი, რა თარსი დღე არის! ვილაც ნავსი მოჭყვება ვაგონს“,—ჩაილაპარაკებდა ხმამაღლა და მერე ასევე ხმამაღლა გააბამდა გაუთავებელ საუბარს თავის „თანაშემწესთან“. დიდხანს ვითმინე, შემდეგ მორიდებულად ვუთხარი—ხვალ სასწრაფო საქმე მაქვს წნორში, თუ ოდნავ მაინც არ მოვატყუე თვალი... ჩემი სიტყვის დამთავრებამდე ადგა და გამშორდა. სულ ხუთიოდე წუთს გაგრძელდა ეს ბედნიერება... ჩემი ადგილის პირდაპირ, სადაც მხოლოდ ვაგონის გამყოლი და მისი „თანაშემწე“ ისხდნენ, ახლა შეიდი კაცი ჩამოჯდა, ამით გამაყრუებელი ხარხარი გამართეს, თან მოსწრებულ სიტყვა-პასუხში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. მეტად „თბილი კომპანია“ იყო: მატარებლის უფროსი და მისი თანაშემწე, მთავარი ტექნიკოსი და მისი თანაშემწე, კონტროლიორი და ორიც უპატრონოდ მიტოვებული მეზობელი ვაგონის გამყოლი. ჩემს თავზე ახდა ქეშმარიტად:

... „მაშინ წარვიდის და მოიყვანის მისთანა სხვანი შეიდი სულნი, უბოროტესნი მისა, და მოვიდის და დაემკვიდრის მუნ, და იქმნის უკანასკნელი კაცისა მის უძვირეს პირველისა. ესრეთ ეყოს ნათესავსა ამასა უკეთურსა...“

* *

გაჩირაღდებული დამხვდა გურჯაანი. აქ ორად იყოფა კახეთის მატარებელი. საათნახევარი დგას მატარებელი ამ სადგურში. გზაში თანამგზავრი ხომ აუცილებლად გაიჩინდება და სწორედ ჩემმა თანამგზავრმა შემომთავაზა—ერთი გურჯაანული არაყი გადავკარათო... რას გავუშვებდი! და ახლა ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი ნამდვილი უბედურება აქედან დაიწყო.

სადგურის ბუფეტში ზეზეურად წავისაუზმეთ.

— იცი, მეგობარო, სამად-სამი ვაგონი მიდის წნორში და დიდი მეცადინეობა დაგვჭირდება, რომ ვაგონში შევადწიოთ. აბა, წავიდეთ!

ფულის დახარჯვა ენანება ამ ჩემს თანამგზავრს თორემ რა დროს ვაგონში შესვლაა-მეთქი,—გავიფიქრე გულში და ჯიბისაკენ გავაქანე ხელი... უცებ კარი გაიღო და რას ვხედავ—იმდენი ხალხი ასევია ამ წნორის მატარებელს, რომ ვაგონები არც კი სჩანს! ისმის გამაყრუებელი ჩოჩოლი. ვაგონში ფანჯრებიდან ჰყრიან ჩემოდნებს, კალათებს, ხურჯინებსა და მგზავრები ფანჯრებისა და კიბების სახელუფრებზეა ჩამოკიდებული...

მე და ჩემი ახლადშექმნილი თანამგზავრიც შევერიეთ ამ ხალხში. აქეთ მოვდექით, იქით მივდექით, მაგრამ ფეხი ვერსად მოვიკიდეთ.

მატარებლის უფროსი ათიოდე პატვისაცემ მგზავრთან ერთად ორთქლმავალზე მოთავსდა. არც ატხელა, არც აცივა და გრძლად დაუსტვინა.

— აბა, ათხოდა, კაცო, მიიწვი ცოტა!

— ფეხი მომაკიდებინე!

— სარტყელი არ გართყია, შე მამაცხონებულო!

ისევე ბოლო ვაგონისაკენ გავქანდი. ვილაც აშენებულს მაგარტარინი ბარი ჰქონდა ილიაში ამოდებული, ამ ტარს ჩავჭიდე ხელი ვაჟაკურად, მე კიდევ ჩემი თანამგზავრი ჩამომეკიდა... დაიძრა მატარებელი ბარის პატრონი ჩამომდგარია ვაგონის მისამებლზე და ორივე ხელი კარის სახელურზე აქვს ჩავლებული, —ასე რომ იგი კაპიტალურად დგას! მეც ცალი ფეხით ვილაცის ფეხზე ვდგევარ,—ასე რომ ჩემი რდგომარეობა ნახევრადკაპიტალურია, ხოლო ჩემს ფეხზე ჩამოპირწიალებული (ვაი, მაგის იმედს)... უცებ მარცხენა ფეხი მემჩატა, დავიხედე, არც ჩემი მარცხენა ფეხის კალთშია და არც ჩემი თანამგზავრის ცხადია, ცალ კალთს როგორ მოიპარავდა ის კაცი, უთუოდ ხელმა

უმტყუნა! სინანულით მოვიხედე უკან—ჩემი ახლად-გაცნობილი თანამგზავრი ოციოდე მეტრის მოშორებით იდგა და უახროდ იცინოდა. რაღაც მანიშნა და ჩემი კალთში, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მესროლა...

განა იმ კალთის დამჭერი ვიყავი?

კალთში პირდაპირ შუბლში მომხვდა, ძველი ტალახი მე შემრჩა, ხოლო კალთში ახალ ტალახში ჩავარდა...

ცალკალთშიანი ჩავედი წნორში.

გურჯაანის სადგურში სრულ თორმეტ საათს დგას მატარებელი თბილისი-გურჯაანი. ამ ხნის განმავლობაში მას რამდენჯერმე შეუძლია წნორში ჩასვლა და ამოსვლა, მაგრამ, როგორც გამოირკვა, ამ შემადგენლობას ამისთვის არ სცალია... როგორც კარგად ინფორმირებულ წრეებში გავიგეთ, ეს მატარებელი ხანდახან რესტორანის როლს ასრულებს... რას არ იტყვის ეს ხალხი!

* *

მთელი დღე ღამენათევი და ცალკალთშიანი დაგბორილობდი წნორში. როგორც იქნა, რბილი ვაგონის ბილეთი ვიშოვე. ნანატრი წუთიც დადგა, აი ჩემი კუბეც... ეს ჩემი ცალი კალთში გავრეცხე და ბალიშქვეშ ამოვიდევ. მარცხენა ფეხის ტალახიანი ფეხსაცმელი გავიხადე და კუთხეში მივდევ. არ დამიძვია დანარჩენი მგზავრებისათვის. გადავბრუნდი მკვდარივით დამეძინა.

თენდებოდა, როცა თბილისის მოაკივლა მატარებელმა. ჩემს კუბეში მეტად ღამაში ქალი აღმოჩნდა. დანარჩენი ორი მგზავრი მოხუცები იყვნენ, მათ ადრე აიკიდეს ხურჯინები და ვაგონის გასასვლელს მიეტანენ. ქალიც ადგა, ერთი მედიდურად გადმოხვდა და კუბედან გავიდა.

წამოვხტი... მთელი კუბე გადავაქოთე და ჩემი მარცხენა ფეხის ფეხსაცმელი ვერ ვიპოვე, ცხადია ვილაცას ხელმა უმტყუნა, თორემ ცალ ფეხსაცმელს როგორ მოიპარავდა? ვაგონის გამყოლს შევჩივე. მოჭრილად მიპასუხა: წვრილ-წვრილ ნივთებზე ჩვენ პასუხს არ ვაგებთო.

სხვა რა გზა მქონდა—მარჯვენა ფეხის კალთში ჩავიცვი შიშველ მარცხენა ფეხზე და ასე წავედი შინ. ჩემს ცოლსა და ბავშვებს პირველად შევებრალო, მერე კი იცინეს და, თქვენს თავს ვფიცავ, ბევრიც იციანეს.

ჩემს უფროსს კახეთიდან ჩამოტანილი პურმარილის ნაცვლად წარუვდგინე ჩემი კახეთში მგზავრობის ანგარიში:


1. რკინიგზის ბილეთი თბილისი-წნორი (პლაკარტი) 32 მან.
2. რკინიგზის ბილეთი წნორი-თბილისი (რბილი) 53 მან.
3. მარცხენა ფეხის კალთში (საბურთალოს ფასი) 200 მან.
4. მარცხენა ფეხის ფეხსაცმელი („ოსობტორგის“ ფასი) 500 მან.

ს უ ლ 785 მან.

უფროსს შევებრალო და უყოყმანოდ წააწერა რეზოლუცია ჩემს ანგარიშზე: „ბუხ. გაუნადღეთ“. მაგრამ ბუხალტერმა რადი შეასრულა უფროსის ბრძანება: მატერიალური საბუთი მოიტანე, ძამიკო, მატერიალური. ეს მატერიალური საბუთი ნიშნავს სოფლსაბჭოს მიერ დამტკიცებულ ცნობას, რომ მე წნორში ნამდვილად ცალკალთშიანი დავდიოდი და ამას გარდა რკინიგზის რამელიდაც საკონტროლო სადგურის ასეთსავე ცნობას, რომ მარცხენა ფეხის ფეხსაცმელი ნამდვილად დაგვარებ მატარებელში.



განა წნორში ხელახლა წამსვლელი და ასეთი საბუთების მშოვნელი ვარ?

კვიროსი გაუკვირვებლი



1. თავდაბალი ხალხია არტელ „მომარაგების“ მესვეურები, პატარა ფარდულის პატრონები არიან.

2. ამაყად გამოიყურება არტელ „ღოვლათის“ მალაზის შენობა, მისი მესვეურები დიდი მალაზის პატრონები არიან.



3. თავდაბალი ხალხი თავაუღებლივ ვაჭრობს.

4. საამაყო მალაზის პატრონებს თავი მაღლა უჭირავთ და ისე ვაჭრობენ.



ამხანაგო ნიანგო!

გთხოვ საჩქარო შესწორება შეიტანო ხალხურ ლექსში, რომელიც დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელოში მოგვითხრობს, თითქოს კამეჩი წვეს და არხეინად იცოხნის, ხოლო ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი ჰგონია.

ამხანაგო ნიანგო, ახლა ყველა სიღნაღელმა იცის, რომ ეს ბრალდება სრულებითაც არ დაუმსახურებია კამეჩს, რომელიც დაკისრებულ სამუშაოს პირნათლად ასრულებს საკოლმეურნეო მინდვრებზე.

კამეჩი კი არა, ეს სიღნაღის კომგანის გამგე წამოწოლილა მხარეთმცოდნე და „ლაფში ჩაფლული“ სასტუმროს მშენებლობა, რომელიც მან დიდხანია ქალაქის ცენტრში წამოიწყო, და შემდეგ მიატოვა—დამთავრებული ჰგონია.

ჩვენი კომგანის გამგეს ჰგონია კარგი ამინდი მაშინაც კი, როცა წვიმს და რაისაბქოს აღმასკომის და რაიკომის შენობებში წყალი ჩამოდის. ასევე უდანაშაულოა კამეჩი სიღნაღის ქუჩების მოუწყვსრიგებლობისა და სასტუმროს შენობაში ანტისანიტარიის საქმეშიც. და, რამდენადაც ეს ასეა, იმდენად აღნიშნული ბრალდებაც ჩვენს კომგანს უნდა მიემართოს.

აქედან გამომდინარე, დაბეჯითებით გთხოვ სათანადო შესწორება შეიტანო აღნიშნულ ხალხურ ლექსში.

პილპილაძე

საყვარელო ნიანგო!

მე რომ შენს ადგილას ვიყო, ასეთ მშვენიერ ლექსს დავებუდავდი ჩვენი ქალაქის, ე. ი. ბორჯომის შესახებ:

როცა ბნელა, როცა ცივა,
სუსხნია და ყველგან ჰყინავს,
რა აძინებს ჩვენს „მღელენგაშს“,
სიცხვეში როგორ ხვრინავს?

როცა თოვს და ჭყაბი ავსებს
ხიდებს, გზებს და ეზოს ეგრე,
კომგანს რათ არ ეშინია,
ჭერი მასაც ჩამოეგრეს?

როცა ქარი დაუბერავს,
და წაგავი ავსებს ქუჩებს,
ჩვენს „დამსუფთავანს“ მღელენგარე გულს,
ვერ მიხვდარვარ, რა უყუჩებს,

როგორ ბედავს გარეთ გასვლას?
არ შიშობს რომ გაიწიროს,
და უეცრად ხიდის ყურთან
ნაგვის ზღვაში ჩაიძიროს?..

მაგრამ რადგან შენს ადგილას კი არა, ამ სანახაობათა უშუალო მოწმე და განმცდელი ვახლავარ, ძალიან გთხოვ, საყვარელო ნიანგო, ეს ლექსი მაინც მომითავსო შენს გვერდებზე.

ზესტაფონიძე

კვირვასო ნიანგო!

როგორც გავიგეთ, თურმე გეინტერესება, რატომ არის ნატანების სადგურის ახლოს საქონელი გასუქებული?

ვისწრაფი გაცნობო ამისი მიზეზი:

ეს ხდება უბრალოდ, კოლმეურნეობის სახელზე მოდის ცენტრიდან გამოყოფილი, როგორც კონცენტრატები, ისე საქონლის უხეში საკვები. სადგურის უფროსის განკარგულებით საკვები იყრება სათანადოგო ბაქანზე, რომელსაც დარაჯის თვალი ვერ სწვდება, (ან შეიძლება, თვალი სწვდება კიდევ, მაგრამ თვით დარაჯი ბეცია). ამ ბაქანზე თავისუფლად მოდის საქონელი, დაუბრკოლებლად იკვებება და ისე ნებივრობს, რომ გაფანტულ საკვებს ფეხქვეშაც კი იგებს.

აქ წყალიც არაა შორს, მამასადამე, საქონელი, როგორც იტყვიან, კარგად სჭამს და სვამს. ჩვენი დაკვირვებით, სწორედ ეს ასუქებს საქონელს, რომელიც სადგურის მახლობლად მცხოვრებ კერძო პირთა საკუთრებას შეადგენს.


შეიძლება ახლა იმან დაგეინტერესოს, თუ როგორ უყურებს ყველა ამას ნატანების სადგურის ადმინისტრაცია? ჩვენივე დასკვნით, იგი ამას სულ არ უყურებს და სასურველი იქნება შენ მაინც შეახედო, ძვირფასო ნიანგო!

შოლტიწვერელი

გულდაკოდილო

ზოგიერთი „მაყურებელი“

ნახ. ე. ლაღისა



— ნუთუ ასე მოგხიბლა პიესამ, რომ მესამედ უცქერი ამ სპექტაკლს?

— არა, ახალ კაბას ვიკერავ და მოდას ვათვალიერებ!

ბათუმში ჩამოსული სტუმრები უმეტესად „ინტურისტში“ ბინადებდნენ. მეორე სასტუმრო დაჩაგრულად მეჩვენა. ამიტომ გადავწყვიტე სასტუმრო „პირველ მაისში“ მომესვენებინა.

ტრადიკომედია დაიწყო მორიგე ადმინისტრატორთან.

— ორი დღე-ღამით მოგვეცით ერთი ნომერი. — ვთხოვე მას.

— რაიო? — შემობღვირა ადმინისტრატიულად. — ნომერი მოგცე, რა, ჯიბეში მაქვს, თუ? სადაა, ბიძია, ნომერი!

— ძალიან ვთხოვთ, თუ...

— შემოიარე ყველა მატარებლის გასვლის შემდეგ.

— ახლა არ შეიძლება?

— ერთი ამას უყურეთ! ყრუ ხარ, ამხანაგო? მე არ მაქვს ნომერი! შედი დირექტორთან! — და ხელი გამიშვირა კაბინეტისაკენ, საიდანაც ყვირილი ისმოდა.

კაბინეტის კარი რომ შევალე, დირექტორი ქაშიბაძე ასე „ზრდილობიანად“ უპასუხებდა ორ სტუმარს:

— არ იცით, სად წახვიდეთ, სად გაათიოთ? მაი რა ჩემი საქმეა, ბაბუაჩემთან წადით!

ამის გაგონება და ჩემი გამობრუნება ერთი იყო. ნებისყოფის სიმტკიცე გამოვიჩინე და ათი საათი ლოდინში გავატარე. ღამის 11 საათსა და 35 წუთზე დირექტორმა „მოილო მოწყალება“ და „განმაწესა“ № 27 ოთახში. შევედი და ელდა მეცა: ოთახში სამარესავით ბნელოდა, ქარი ჰქროდა, ყინვა ისე უჭერდა, როგორც ჩრდილოეთ პოლუსზე. საძაგელი სუნი იდგა. ვიფიქრე — დავწვები ლოგინში და ამ საბედისწერო ღამეს როგორმე გადავიტან-მეთქი, მაგრამ ლოგინი ერთი ძვალტყავადქცეული ლეიბისა და საზაფხულო საბნისაგან შესდგებოდა! რაღა მექნა? მთელი ღამე დერეფანში სირბილსა და ფიზკულტურული „ნორმების ჩაბარებაში“ გავატარე. დილით ლოგინზე ჩამოვჯექი. დაღლილს კურდღელივით ჩამთვლემოდა, მაგრამ ქალის კივილმა გამომადგინა. დერეფანში გამოვვარდი და მორიგე დიასახლისს ვკითხე:

— ვინ კივის? რა მოუვიდა?

— სუ, ბატონო, სუ! — წაიჩურჩულა მან. — კივის კი არა, მღერის, დირექტორის ცოლი გახლავს.

ყურადღება გავიმახვილე და მჭყვიანა ხმით წარმოთქმული ასეთი სიმღერა გავიგონე:

რა ლამაზია, რა მოხატული
არშინ მალ-ალ-ალან!
ჩემო არშინო, ჩემო მალამო,
ჩემო არშინოლო.

დიასახლისი იღიმებოდა და ორაზროვნად შემომყურებდა.

— აქ არ შეიძლება ეგ ყვირილი! — მკაცრად შევძახე დიასახლისს, — რას ჰგავს ეს!

— ჰი-ჰი-ჰი! — ჩაიქირქილა მან და პირაქეთ შემომედგა: — დირექტორმა სასტუმროში ღორი რომ გაასუქა, საწოლები და საბნები მიითვისა — ეგ კი შეიძლებოდა? გათბობის საქმეზე ყოველ წელს ათასობით მანეთი რომ იხარჯება, შედეგი კი არა სჩანს — ეგ შეიძლება? აბანო რომ არ მუშაობს, თეთრეული კი მკებნარითა და კუჭყით აკრელებულია — ეგ შეიძლება? 9 წლის მანძილზე ამ სასტუმროს 21 გამგე რომ შეუცვალეს — ეგ შეიძლება? მაგრამ ვინ უყურებს ამას!

ოთახში შევევარდი, ხელი დავტაცე პორტფელს და ადმინისტრატორთან ფული გადავიხადე მხოლოდ იმის ხათრით, რომ წუხელ ყინვისაგან საიქიოს არ გავემგზავრე.




დღეშეთის რაიონის სოფ. ბარისახოს რადიოკვანძი ხალხს სათანადოდ ვერ ემსახურება. დაზიანების შემთხვევაში მიმართავენ მასწავლებელ შ. აბულაძეს, რომელიც ამის სპეციალისტი არ არის. იგი კვანძს უფრო აზიანებს.

ხევსურთ რადიოკვანძი ვვაქვს — სად ბარისახო ჰქვიანო, ერთი თვე არის ყურს ვუგდებთ, რადიო აღარ ხმინობს. თუ ოდეს აღაპარაკდა, მაშინაც ისე ხრიალობს, მოუსმენ, არ შეიძლება სმენა არ დაგიზიანოს. შეგნიშნავთ, მისი გამშვები მყის გაგვიმართავს დიალოგს; ადრე არ ვუშვებ? ეს მისთვის — მძინავს და არ მცალიანო. შემკეთებელი შალვა ჰყავს, „ხელოსანს“ ეძახიანო, — იტყვის: — მოვმართავ რადიოს, სულ ცოტამც დავაგვიანო, ნათქვამ არს: კაჭკაჭს რა ჰქონდა, ყვავს რაღა გაუზიაროს? ამათი საქმეც ასეა, არცერთმა არ იციანო, ჩვენ კი ვერ ვისმენთ რადიოს ვერც ადრე, ვერცა გვიანო. ამიტომა ვთხოვთ ნიანგო, სიმართლის თანაზიარო, შენი ნაცადი ჩანგალი ამათზე ააფხიანო, რომ ჩვენი რადიოკვანძი ამ ხალხთ არ ანაგვიანონ.

მინდი ველგუჯაუაძი

უცნაური მიზეზი

ნახ. ღონისა



- რა გვეშველება, კაცო, ზამთარში ცივა, ზაფხულში ცხელა ჰოლდა, მაყურებელიც არ დადის თეატრში.
- ჩვენს თეატრს მაყურებელი არ აკლია.
- ათბობთ?
- არა.
- აა! მიგვხვდი! თქვენ აღბათ კარგ წარმოდგენებს დგამთ.



ლენინის რაიონის № 11 აბანო მეტწილად ლაქტილია.

ორშაბათ დილა გათენდა, დარი დადგა სანეტარო, აბანოს კარს მივადექი, შემომყვებრეს: „მოდი ხვალა“. სამშაბათი რომ გათენდა, გამახსენდა დაპირება,— კვლავ აბანო ვინახული, განვიცადე გაკვირვება. — საწვავს უკვე გადავურჩით, წყალმა ცოტა შეგვაჩერა, ხვალ მობრძანდით,— მითხრა გამემ, — ვუბახუხე: — ვიცი, მჯერა. ოთხშაბათსაც, ხუთშაბათსაც, პარასკევსაც მოთხრეს ასე: „ხვალ თუ მოხვალ, იბანავებ რიგვარზე, იმავ წამსვე“. შაბათ დილას ამშვენებდა აბანოს კარს განცხადება: „გადაიდლა...“ რამდენ შაბათს? რას გიშველის გაცხარება? თუ რა მოხდა შემდეგ შაბათს, წაიკითხეთ ლექსი ახლად, ან საწვავი შემოაკლდათ, ან ონკანი ისევ წახლა.

მ. კალმოსანიძე

„მალარიჩი“

(ხაშურიდან)

ოდესღაც ვილაც ჰკვათამყოფელი აყენებდა საკითხს: პირველად ქათამი გაჩნდა თუ კვერცხიო. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ დისკუსიაში მონაწილეობა არ მიუღია ხაშურის ბაქნის კონტროლიორს სედრაკ ალექსანიანს.


მან ეს საკითხი გადაწყვიტა უბრალოდ: დაინახა სოფ. ხუნევიდან ხაშურში ჩამოსული კოლმეურნე ამბროსი ჩადუნელი და მისი ბიძაშვილი გრიგოლ რიკაძე. ისინი მოსკოვის ბილეთს დაეძებდნენ და თან კაი პურმარილიც ჰქონდათ— მოხარული დედლები, კვერცხები, სულგუნები და სხვა. სანოვავე. ცხადია, არც ჯიბე ექნებოდათ ცარიელი. ალექსანიანს მოეწონა მსუქანი დედლები და კვერცხები. დატრიალდა. ბილეთის შოვნა შესაძლებელზე უფრო მეტად გაუძნელა და ბოლოს შესთავაზა თავისი სამსახური.

— იცით, ჩემო ბიძებო! ეგ დედლები აქეთ გადმოდეთ, ეგ მოხარული კვერცხები და სულგუნებიც თან მოაყოლეთ და ბილეთი ახლავე გაჩნდება.


სედრაკმა 825 მანეთი და დედლები მიიღო, ხოლო რიკაძე-ჩადუნელმა— ბილეთები. მან თვითონვე „მოაწყო“ ისინი ვაგონში და „ნაშოვარს“— კლიენტების მადლობაც დაუმატა.

როგორც გავიგეთ, საყვარელო ნიანგო, ალექსანიანის მიერ „მოწყობილმა“ ჩადუნელმა და რიკაძემ გზაში „იწვინეს საწვინევი“, მაგრამ განა ეს გემოს დაუკარგავდა მსუქან დედლებს და მათზე დანამატ „ბუჩქულს“ ალექსანიანისა თვის?

გ. ჭოგრიტაშვილი



- ვინ გავიკეთა ეგ ციგა, რომ ასე მალ-მალე ფუჭდება? — მამამ!
- მამაშენი ხომ ინჟინერია?
- არა, ახლა ტროლეიბუსების შემკეთებლად მუშაობს.



— რა გვინდა მალაზიაში? სჯობს საბურთალოს ბაზარზე წავიდეთ, უფრო ფასში ავიწევთ.

ჩვენი უოსკა

ა ბ ა შ ა

შახ-შანგოს— აბაშის ფოსტაში წერილების გამწვანებელ ოლია გაბელაიას შესახებ გვწერთ: „გაზეთ „საბჭოთა სოფლის“ რედაქციაში გასაგზავნ კორესპონდენტებს სოფელ გეზათში შგზავნის და დღემდე ვერ გაუგია რა განსხვავებაა „გაზეთსა“ და „გეზათს“ შორისო“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თქვენი ფოსტის გამგესაც ვერ გაუგია დღემდე, თუ რა განსხვავებაა ნამდვილ, კეთილსინდისიერ და მოხალ-ტურე მუშაკს შორის.

დუშეთი

მერაბს— თქვენ გვწერთ: „საქავტოტრანსპორტის დუშეთის სადგურის უფროსი ვიქტორ თავართქილაძე ახალი მუშაკია. მან ჯერჯერობით არ იცის ვინ არის დუშეთში დიდი კაცი, ვინ შინაურია, ვინ— გარეული. ამის გამო სასაბჭოთაო მებუფეტეს იმ-მარიებს ბილეთების გაყიდვაში. მებუფეტე ვანო ქაშიაშვილი კი ბილეთებს მათ აძლევს, ვინც მისი ხშირი მუშტარია და მოქიფე ბიჭიაო“.

არა გვგონია, რომ ვანო ქაშიაშვილი მარტო „მუშტრობის“ და „მოქიფობის“ გამო აძლევდეს ბილეთებს. აქ, ალბათ, ხელის ქუჭყის გავლენა და ხათრიც მოქმედებს!

სახჩხრა

შავ ბიჭს— საჩხერის საკოლმეურნეო ბაზრის ზოგიერთი მუშაკის შესახებ გვწერთ: „ბაზარზე ხუთი საკოლმეურნეო სავაჭრო წერტილი და თვითეული წერტილიდან დღეში 2-3 ლიტრი ღვინო უსახყიდლოდ მიაქვთ. დამხმარე სასმელ-საბმელსაც იოლად შოულობენ. ბაზარში ხომ უხვად შემოაქვთ გამომცხვარი პური, ხორცი, ყველი და სხვ“. ფრიად საყურადღებო ამბავია, მაგრამ ჩვენ ერთი რამ გვინტერესებს: უფასოდ გაცემულ ღვინოს საკოლმეურნეო წერტის მესვეურები წყლის საშუალებით ამოიგებენ, მაგრამ უფასოდ გაცემულ პურს, ხორცსა და ყველს რომელი დახლი ისტუმრებს? ამ ხარჯებს ბაზარზე გადასახდელი ბაჟის ხალტურა-ნატურა ხომ არ ანაზღაურებს?

ქობულეთი

ქობულეთელს— თქვენ გვწერთ: „გვიშველე რამე, ძმაო ნიანგო, ქობულეთელებს ერთი ელსადგური გვაქვს, კვირაში ერთ დღეს გვინათებს და შვიდი დღის განათების საფასურს გვანდევინებენო“. თქვე კაი კაცი, მაშ ისეთი გამოუცდელი გგონიათ ელსადგურის გამგე ელიას ლაზიშვილი, რომ შვიდ დღეს გაგინათოთ და ერთი დღის განათების საფასური გადაგანდევინოთ?



— „ჯენტლმენებო, ხედავთ, ამ ბოლო დროს როგორ ვგახსუქდა და წონაში იმატა ჩვენმა სანატრელმა ანგელოსმა?“

სარედაქციო კოლეგია: ი. შჩივაშვილი, კარლო კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, გრ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკიი ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 8-10-49

ხელმოწ. დასაბ. 1947 წ. 15/III. ლ. ბ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28, გამოც. № 20 შუკ. № 289. ტირ. 7500 ში 01626